

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ. ვანი თავისუფლების N 65

25 აპრილი 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები : კობა ტოხვაძე, თენგიზ დვალიშვილი, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შალვა ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა) იპ კულტურული ღონისძიებების მართვის ცენტრის სამსახურის უფროსი - **ლელა ადეიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - **ირმა ცხვარაძე.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში-**სალომე ფახურიძე.**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა) იპ კულტურული ღონისძიებების მართვის ცენტრის სამსახურის ინფორმაციის მოსმენა 2019 წლის მაისის და ივნისის თვეში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

მომხს: **ლელა ადეიშვილი**

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინფორმაციის მოსმენა ინფორმაცია 2019 წლის მაისის და ივნისის თვეში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ .

მომხს: ირმა ცხვარაძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით ლელა ადგიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია 2019 წლის მაისის და ივნისის თვეში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და განმარტა, რომ 2 მაისს „გვირილობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით ქ. ქუთაისში მუხრანის ტყეში იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტები ახდენენ თავიანთი ინდივიდუალიზმის წარმოჩენას, ამ მხრივ არც ვანის მუნიციპალიტეტია გამონაკლისი, შესაბამისად ვემზადებით. კონკრეტულად ამ ღონისძიებისთვის 4000 ლარია გამოყოფილი. ღონისძიების მრავალფეროვანი ფორმატიდან გამომდინარე, რაც ითვალისწინებს მონაწილეთა, მუზეუმიდან ექსპონანტების, ვანის საზოგადო მოღვაწეთა და ღირსშესანიშნაობების ამსახველი ბანერების ტრანსპორტირებას, სუფრას, რომელიც ჩვენი რაიონის ტრადიციების ასახვას ახდენს, გათვალისწინებული ხარჯი საკმარისი არ არის შესაბამისად თქვენგან თანადგომას ველოდებით, რათა ღონისძიება სრულყოფილი და შთამბეჭდავი აღმოჩნდეს.

კომისიის წევრებმა აღნიშნული ღონისძიებისათვის შესაძლებლობის ფარგლებში მხარდაჭერის მზაობა გამოხატეს.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენის საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

/დანართი N2/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ირმა ცხვარაძემ ფრაქციის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინფორმაციის მოსმენა ინფორმაცია 2019 წლის მაისის და ივნისის თვეში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „განსაკუთრებულად ვემზადებით 2 ივნისს „ვანელობის“ სახალხო დღესასწაულისთვის, რომელიც წინა წლებთან შედარებით გაცილებით მასშტაბული, განსხვავებული და მრავალფეროვანი იქნება. ეს დღე სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებებით დაიტვირთება;

მერიის მიმდებარე ტერიტორიიდან ცენტრის მიმართულებით შერჩეულ ლოკაციაზე წარმოდგენილი იქნება: გეზრბენი, სადაც გამარჯვებულს ფულად თანხას 150 ლარს გადასცემს ვანის მუნიციპალიტეტის მერი. მძლეოსნური კროსი, ქართული ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ქუჩის აქტივობები-ასფალტზე ხატვა, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობა. გაგა ტყემალაძის სკვერში გაიმართება სამოყვარულო ტურნირი ჭადრაკში, ნარდში.

ლ. გერასიმას სახელობის ვანის კულტურის ცენტრში გაიმართება საზეიმო კონცერტი, სადაც დაჯილდოვდება აგრეთვე 9 საპატიო ვანელი. ასევე გვინდა მაქსიმალურად წარმოვაჩინოთ წარმატებული ვანელი ახალგაზრდები, რომლებმაც მოწინავე ადგილები დაიკავეს ადგილობრივ დონეზე ჩატარებულ ღონისძიებებში და ასევე ასახელეს რაიონის მასშტაბურ პროექტებში.

გივი ყიფიანის სკვერში, სადაც მოეწყობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, ადმინისტრაციული ერთეულების ტრადიციული კუთხეების წარმოჩენა.

ქ. ვანის ცენტრში გაიმართება ღია ცის ქვეშ კონცერტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ვანის ცენტრში განთავსდება ატრაქციონი, რომლითაც ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ მთელი დღის მანძილზე სრულიად უსასყიდლოდ ისარგებლონ.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენის საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე